



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გ ა რ ლ ა ბ ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ი ე ტ ი ს ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

2006 წლის 18 დეკემბერი

ქ. გარდაბანი

განკარგულება №23

გარდაბნის მუნიციპალიტეტის
საზღვრების შეცვლისა და ქ. თბილისთან გარდაბნის
მუნიციპალიტეტის
საზღვრების გამიჯვნის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლისა და ქ. თბილისის მერიის მიმდინარე წლის 15 დეკემბრის №06-1/1047 მომართვის საფუძველზე:

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საზღვრები შეიცვალოს დანართის შესაბამისად (თან ერთვის ახალი ადმინისტრაციული საზღვრები და სქემატური რუკა.).
2. ეთხოვოს საქართველოს მთავრობას მიმართოს საქართველოს პარლამენტს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლისა და ქ. თბილისთან გარდაბნის მუნიციპალიტეტის საზღვრების გამიჯვნის შესახებ წარდგინებით.
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გარდაბნის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ.გარდაბანი დავით აღმაშენებლის ქ. №14) მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში

საკრებულოს თავმჯდომარე

გ.მენაბდე

